 სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

ღოუბანის საჯარო სკოლის მშენებლობა

(თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი)

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიში
და
გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით
პროექტი: ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი (საქართველო I2Q)

თბილისი, საქართველო
2025 წ. მაისი

ქვეპროექტის აღწერა

ღოუბანის საჯარო სკოლის მშენებლობის პროექტი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში - ინკლუზიურობის, ინოვაციისა და ხარისხის (საქართველო (I2Q)) პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს.

ქვე-პროექტი მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ღოუბანში (მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაა, საკადასტრო კოდი 84.05.35.000.328) და მოიცავს 2,482 მ² ფართობს.

მანძილი თბილისამდე დაახლოებით 40 კმ-ია. უახლოესი საცხოვრებელი სახლი შემოთავაზებული სკოლიდან დაახლოებით 20 მეტრის დაშორებით მდებარეობს.

საქართველოს რეგიონების სეისმური დარაიონების შესწორებული სქემის მიხედვით, ქვე-პროექტის უბანი ხვდება 8-ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში MSK64 სკალის შესაბამისად (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება No1-1/2284, ქ. 2009 წლის 7 ოქტომბერი).

სკოლის შენობა 100 მოსწავლისთვისაა განკუთვნილი. სკოლის მშენებლობისთვის განსაზღვრული ადგილი სწორი ტერიტორიაა. სამხრეთით ის ადგილობრივ გზას ესაზღვრება, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან - კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებს. მიწის ნაკვეთი თავისუფალია ყოველგვარი შენობებისა და ნაგვისაგან. ქვე-პროექტის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა და ახალი სკოლის შენობისთვის გამოყოფილი მიწა ცარიელია, მასზე ნაგებობები არ არის. ის არ არის რაიმე ფორმით ფორმალური ან არაფორმალური გამოყენების მდგომარეობაში.

ქვე-პროექტი მოიცავს სამსართულიანი შენობის მშენებლობას (საერთო ფართი 2,141.92 მ²) მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებასთან და კეთილმოწყობასთან ერთად.

სასწავლო ცენტრის პირველ სართულზე განთავსებულია დაცვის ოთახი, სკოლის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირის ოფისი, სამედიცინო კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი და სასადილო ოთახი, მიმდებარე ოთახით. იგი ასევე მოიცავს სერვერების ოთახს, დასუფთავების პერსონალის ოთახს, სკოლის საწყობს, რესურს ოთახს და ორ საკლასო ოთახს პირველი და მეორე კლასებისთვის. გარდა ამისა, არის ჯგუფური ოთახი, რომელიც აღჭურვილია გასახდელებით და ინდივიდუალური სანიტარული კვანძებით. სართულებს შორის წვდომა გამარტივებულია როგორც კიბით, ასევე ლიფტით.

მეორე სართულზე განთავსდება ხელოვნების ოთახი, ბიბლიოთეკა და მრავალფუნქციური სივრცეები. ასევე მოეწყობა დასუფთავების ოთახი, მასწავლებლების მისაღები ოთახი და ოთხი საკლასო ოთახი, რომლებიც განკუთვნილია 3-6 კლასებისთვის. გარდა ამისა, იქნება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოთახი, ასევე სველი წერტილები.

მესამე სართულზე განთავსდება ხელოვნების ოთახი, ბიბლიოთეკა და მრავალფუნქციური სივრცეები. ასევე, შენობაში განთავსდება დასუფთავების პერსონალის ოთახი, მასწავლებლების მისაღები ოთახი და ოთხი საკლასო ოთახი, რომლებიც განკუთვნილია მე-7-12 კლასებისთვის. გარდა ამისა, იქნება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

ოთახი, სველი წერტილებით.

დიზაინი უზრუნველყოფს თანამედროვე, ფუნქციონალურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც დააკმაყოფილებს მოსწავლეებისა და პერსონალის მრავალფეროვან აკადემიურ და კლასგარეშე საჭიროებებს. საპროექტო სპეციფიკაციების შესაბამისად, მთელი ინფრასტრუქტურა მოემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა სპეციალური საჭიროებების მქონე პირებს. შენობაში იქნება საავარიო გასასვლელები, ორი კიბის უჯრედი და ერთი ლიფტი, ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სოფელ ღოუბანში კომუნალური მომსახურება შეზღუდულადაა უზრუნველყოფილი, მათ შორის ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი. არ არსებობს წყალმომარაგების ან ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და გამწმენდი სისტემები. თემის მაცხოვრებლები იყენებენ მიწის ან ბეტონის ორმოიან ტუალეტებს, რომლებიც სეპტიკური სისტემების ფუნქციას ასრულებენ. ქვე-პროექტი სკოლის შენობას ჩამდინარე წყლების გამწმენდი ავტონომიური ბიოლოგიური ნაგებობით აღჭურვავს. სასმელი წყლის ჩამოსხმა ბოთლებში მოხდება. ტექნიკური წყლით უზრუნველყოფისთვის დამონტაჟდება წყლის რეზერვუარი და შიდა გამანაწილებელი სისტემა. რეზერვუარის შევსების პასუხისმგებლობა სკოლას დაეკისრება დაფინანსების სტანდარტული ვაუჩერული სქემით გამოყოფილი თანხების გამოყენებით. ალტერნატიულად, ეს შეიძლება განახორციელოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, „ზოგადი განათლების დაფინანსების მიზნით ფინანსური ნორმისა და ერთ მოსწავლეზე შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილების პირველი მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს:

• მოსამზადებელი სამუშაოები: დროებითი ნაგებობების დამონტაჟება, როგორიცაა მუშათა გასახდელები, ტუალეტები, დაცვის ჯიხურები, მასალების შესანახი ადგილები, აგრეთვე საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების შესანახი ადგილები.

• მთავარი შენობის მშენებლობა.

• საქვაბის მშენებლობა;

• ჩამდინარე წყლების მიმღები ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟება;

• შენობის შიდა ქსელების წყალმომარაგების, ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდების, გათბობისა და ვენტილაციის ქსელების მონტაჟი;

• წყალმომარაგების სისტემის მონტაჟი, მათ შორის წყლის რეზერვუარისა და ავტონომიური სატუმბი სადგურის;

• გარე გაზმომარაგებისა და ინტერნეტის ქსელების მონტაჟი და მათი მიერთება არსებულ მუნიციპალურ ქსელებთან;

• სახანძრო და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მონტაჟი;

• სტადიონის მოწყობა;

• ტერიტორიის შეღობვა

- პარკინგის მოწყობა

სკოლის ეზოში რამდენიმე ხე და ბუჩქია. პროექტის მიხედვით, არსებული მცენარეების მოჭრა საჭირო არ არის, რადგან სკოლის შენობის, საქვაბის ოთახის, სტადიონისა და ბილიკების მშენებლობისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე ხეები არ არის. სამშენებლო სამუშაოების შედეგად, მოსალოდნელია 3,200 მ3 მოჭრილი ნიადაგის წარმოქმნა, საიდანაც 1,300 მ3 გამოყენებული იქნება უკუჩაყრისთვის, ხოლო დანარჩენი გადატანილი იქნება სანიტარულ ნაგავსაყრელზე, რომელსაც მართავს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ამ კომპანიასთან შეთანხმების საფუძველზე, ან განთავსდება მუნიციპალური ხელისუფლების მიერ გამოყოფილ ადგილას. ასევე, ქვეპროექტის განსახორციელებლად საჭირო იქნება 550 მ3 ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომელიც დროებით შეინახება სკოლის ტერიტორიაზე, „ნიადაგის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. მშენებლობის შემდეგ, ნიადაგის გამოყენება ხელახლა მოხდება ქვეპროექტის ფარგლებში სკოლის ტერიტორიის ლანდშაფტის მოწყობისთვის.

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი

(ა) ზემოქმედების შეფასება

აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება მცირე უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე. ძირითადი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მშენებლობის ფაზასთან, რომელიც მოიცავს სკოლის შენობის, სპორტული დარბაზის და საქვაბის მშენებლობას.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	უარყოფითი ეკოლოგიური ზემოქმედება მოკლე-ვადიანია და დაკავშირებულია მცირე მასშტაბის სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან მოდიფიცირებულ ლანდშაფტში: აღნიშნული დაკავშირებულია ხმაურთან, მტვერთან, ვიბრაციასთან და სამშენებლო მექანიზმებით გამოწვეულ ემისიებთან; ასევე მოსალოდნელია სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა; ეს უკანასკნელი დაკავშირებულია სკოლის მოვლა-პატრონობის შედეგად წარმოქმნილ ნარჩენებთან, რის მართვაზეც ადგილობრივი მუნიციპალიტეტია პასუხისმგებელი. ქვე-პროექტი მოდიფიცირებულ გარემოში მდებარეობს. შესაბამისად, ზემოქმედება იქნება გარდამავალი და უმნიშვნელო (ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენები, სატრანსპორტო მოძრაობის და მისასვლელის დროებითი შეზღუდვა და სხვ.). ექსპლოატაციის ეტაპზე უნდა მოხდეს წარმოქმნილი მყარი ნარჩენების სათანადო მართვა, ეკოლოგიური ზემოქმედების შესამცირებლად.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი	ქვე-პროექტს ექნება გრძელვადიანი დადებითი სოციალური ზემოქმედება, რადგან ადგილობრივებს ექნებათ წვდომა თანამედროვე სკოლაზე, რომელიც ადაპტირებული იქნება შშმ პირებზე. ქვე-პროექტის საბოლოო მიზანია ადგილობრივი ბავშვებისთვის

ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	განათლების ხარისხის და განათლების მიღების პირობების გაუმჯობესება. სკოლის რეკონსტრუქცია უზრუნველყოფს მყისიერ სარგებელს მისი მომხმარებლებისთვის, რაც გულისხმობს გაუმჯობესებულ სასწავლო სივრცეებს, სათამაშო მოედნებს, ყოველდღიურ სასწავლო აქტივობებსა და ზოგადად, გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურასა და საცხოვრებელ პირობებს. სასარგებლო იქნება გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედებაც, რადგან ადგილობრივ ბავშვებსა და მოსწავლეებს სკოლაში ექნებათ გაუმჯობესებული საგანმანათლებლო და სამუშაო პირობები, მოსახლეობას გაეზრდება შემოსავალი, როგორც (პროექტის) განხორციელების პროცესში (მუშების დასაქმება), ასევე მშენებლობის შემდგომ. ქვეპროექტი შექმნის დროებით და ზოგიერთ შემთხვევაში, მუდმივ სამუშაო შესაძლებლობებს ადგილობრივებისთვის (როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის), რადგან მათი დასაქმება შესაძლებელი იქნება როგორც რეაბილიტაციის, ასევე მოვლა-პატრონობის ეტაპებზე. თემში თანამედროვე სკოლის არსებობა სოფელ ღოუბანში მეტ ადამიანს (განსაკუთრებით სკოლის ასაკის ბავშვებს) დარჩენის საშუალებას მისცემს. უარყოფითი ზემოქმედება მოკლევადიანია და შეზღუდულია სამშენებლო ტერიტორიით. აღნიშნული დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ შესაძლო შეწუხებასთან. ქვეპროექტით გათვალისწინებულია სკოლის შენობის ადაპტირება შშმ პირებისთვის. ქვეპროექტით მიწის შეძენა, განსახლება ან ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა (მაგ. ოფიციალური, ან არაოფიციალური მოვაჭრეები) გათვალისწინებული არ არის.

(B) შემარბილებელი ღონისძიებები

რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას?	სკრინინგის ეტაპზე არ განიხილებოდა პროექტის ალტერნატივა, რადგან სკოლის შენობა დასაპროექტებელია პროექტირება-მშენებლობის ხელშეკრულების ფარგლებში. სკოლის პროექტი დააკმაყოფილებს სასკოლო შენობებისთვის მიღებულ ეროვნულ სტანდარტებს და პროექტის მახასიათებლებისთვის შეირჩევა საუკეთესო შესაძლო ალტერნატივები, რომლებიც შესაძლოა მორგებული იყოს ინდივიდუალურ ადგილებსა და მოთხოვნაზე.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	სამშენებლო სამუშაოების დროს მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირება გარემოზე მარტივად არის შესაძლებელი სამშენებლო სამუშაოების სათანადო მართვის შედეგად. კონტრაქტორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს: ნარჩენების გატანა ნებადართულ ადგილას, მხოლოდ ლიცენზირებული კარიერების მასალის გამოყენება, ან ლიცენზირებული მომწოდებლებისგან მასალების მიღება, წყლის და ნიადაგის დაბინძურების თავიდან აცილება (საწვავის დაღვრა აღჭურვილობის მწყობრიდან გამოსვლის გამო, ბეტონის დაღვრა და სხვ.), მოსახლეობის შეწუხების (ხმაური, მტვერი, ემისიები) პრევენცია - სამუშაოების წარმოების/მიწოდების, სატრანსპორტო მოძრაობის მართვის სწორი გრაფიკის ჩამოყალიბებით და სამშენებლო მექანიზმების გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფა. აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება, საწვავის და საპოხი მასალების გაჟონვაზე; ყველა მექანიზმის ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა უნდა განხორციელდეს ისე, რომ ყველა სახის გაჟონვა და მასალების დაღვრა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი; კონტრაქტორი ვალდებულია, რომ მოახდინოს დასაწყობების ადგილების ორგანიზება და გადახურვა. მასალების დასაწყობების ადგილები დაცული უნდა იყოს წყალგაუმტარი გადახურვით, რათა არ მოხდეს მათი გამორეცხვა ძლიერი წვიმების და წყალდიდობების დროს; იკრძალება მანქანების ტექნიკური მოვლა-პატრონობის პუნქტების მოწყობა ნებისმიერი წყლის ობიექტიდან 50 მეტრში. ქვეპროექტის განხორციელების პროცესში მოხდება გამაფრთხილებელი ნიშნების გამოყენება და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მართვა ობიექტის გარშემო. აზბესტის შემცველი ნარჩენების განკარგვა დიდ ყურადღებას მოითხოვს, რათა თავიდან იქნას აცილებული მუშების და მიმდებარე თემების ჯანმრთელობის დაზიანება და უსაფრთხოების დარღვევა და გარემოს დაბინძურება. შემარბილებელი ღონისძიებების სახით გამოყენებული იქნება პირადი დამცავი აღჭურვილობის პერმანენტული გამოყენება, სამუშაო ადგილის მორწყვა, სახიფათო ნარჩენების ცალკე უსაფრთხო ადგილზე შენახვა და მისი დროული განთავსება განსაზღვრულ ნაგავსაყრელზე, რომელსაც მართავს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია. ადგილობრივი მაცხოვრებლები წინასწარ მიიღებენ გაფრთხილებას აზბესტის შემცველი მასალის ხელახლა გამოყენებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების

	შესახებ და უზრუნველყოფილი იქნება მათი თანხმობა ამ მასალის განკარგვის შესახებ. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან საცხოვრებელი სახლები ქვე-პროექტის სიახლოვესაა განლაგებული. კონტრაქტორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს კონკრეტული ღონისძიებების გატარება ადგილობრივებზე ზემოქმედების შესარბილებლად; აღნიშნული მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირებას მოსალოდნელი სამუშაოებისა და მუნიციპალური სერვისების დროებითი შეზღუდვების შესახებ, მსგავსი შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში; უნდა მოხდეს ასევე სამუშაო საათების შეზღუდვა დღის განმავლობაში, სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა, ხმაურის და მტვრის ემისიების მინიმუმამდე დაყვანა და სხვ. სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში მნიშვნელოვანი ხასიათის საფრთხეების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის - შესაბამისი სამშენებლო პრაქტიკის და უსაფრთხოების პროცედურების გამოყენების გამო. საპროექტო ტერიტორიაზე აღინიშნება ბალახის საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. სამუშაოების შედეგად მოხდება ნაყოფიერი ფენის მოშიშვლება, რომელიც მთლიანად დაექვემდებარება ხელახალ გამოყენებას - კეთილმოწყობის სამუშაოების დროს. მიწის სამუშაოების დაწყებამდე მოხდება საპროექტო ტერიტორიის გასუფთავება ბალახის ტიპის მცენარეებისაგან, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა კი მოიხსნება და დასაწყობდება - დროებით.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (მგფ) ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და ფართომასშტაბიანი შენობების (მათ შორის საჯარო სკოლების და ბაღების), გზების და ქუჩების მშენებლობის ქვე-პროექტების განხორციელებაში. მსგავსი პროექტების განხორციელების საფუძველზე მიღებული გამოცდილების შესაბამისად, ტექნიკური პროექტით გათვალისწინებულია არა მხოლოდ სკოლის რეაბილიტაცია, არამედ გათბობის, ვენტილაციის და სახანძრო სისტემის, ასევე ცხელი წყლის მიწოდების, განათების სისტემების და ენერგოეფექტურობის პოტენციალის გაუმჯობესება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება - ენერგო ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იქნება შშმ პირების მიღებისა და მათთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებისთვის.
ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-	პროექტი შემუშავდა MESY-ის მიერ ადგილობრივ რესურს ცენტრთან ერთად, არსებულ სიტუაციაზე რეაგირებისათვის. პროექტისათვის შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა ხელმისაწვდომი იქნება ბენეფიციარებისა და სხვა

პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?	დაინტერესებული მხარეებისთვის და განხილული იქნება საკონსულტაციო შეხვედრაზე. საჯარო კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება როგორც MDF-ის და MESY-ის ოფიციალურ ვებგვერდებზე, ასევე სკოლისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფებზე. საჯარო განხილვას ორგანიზებას გაუწევენ MDF-ი და MESY. საჯარო განხილვას დაესწრება ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის სკოლის მოსწავლეების მშობლები. საჯარო კონსულტაციის შეხვედრის ზუსტი დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია გამოცხადდება მინიმუმ 10 დღით ადრე.

(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია ☐
2. ქვე-პროექტი მიღებულია ■

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის საკონტროლო სიის შევსებას ■

2. გარემოსდაცვით და სოციალურ განხილვას, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით ☐

ქვე-პროექტის სოციალურ და კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	X	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		X
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ?		X
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		X
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		**დიახ**	**არა**
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		X
თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას **OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები** და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.			

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა
ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	პროექტი ინკლუზიურობა, ინოვაცია და ხარისხი (საქართველო, I2Q)
ქვე-პროექტის დასახელება	ღოუბანის საჯარო სკოლის მშენებლობა
ობიექტზე განსახორციელებელი საქმიანობის მასშტაბი	ღოუბანის საჯარო სკოლის მშენებლობის პროექტი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში - ინკლუზიურობის, ინოვაციისა და ხარისხის (საქართველო (I2Q)) პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს. ქვე-პროექტი მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ღოუბანში (მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაა, საკადასტრო კოდი 84.05.35.000.328) და მოიცავს 2,482 მ² ფართობს. მანძილი თბილისამდე დაახლოებით 40 კმ-ია. უახლოესი საცხოვრებელი სახლი შემოთავაზებული სკოლიდან დაახლოებით 20 მეტრის დაშორებით მდებარეობს. საქართველოს რეგიონების სეისმური დარაიონების შესწორებული სქემის მიხედვით, ქვე-პროექტის უბანი ხვდება 8-ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში MSK64 სკალის შესაბამისად (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება No1-1/2284, ქ. 2009 წლის 7 ოქტომბერი). სკოლის შენობა 100 მოსწავლისთვისაა განკუთვნილი. სკოლის მშენებლობისთვის განსაზღვრული ადგილი სწორი ტერიტორიაა. სამხრეთით ის ადგილობრივ გზას ესაზღვრება, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან - კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებს. მიწის ნაკვეთი თავისუფალია ყოველგვარი შენობებისა და ნაგვისაგან. ქვე-პროექტის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა და ახალი სკოლის შენობისთვის გამოყოფილი მიწა ცარიელია, მასზე ნაგებობები არ არის. ის არ არის რაიმე ფორმით ფორმალური ან არაფორმალური გამოყენების მდგომარეობაში. ქვე-პროექტი მოიცავს სამსართულიანი შენობის მშენებლობას (საერთო ფართი 2,141.92 მ²) მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებასთან და კეთილმოწყობასთან ერთად. სასწავლო ცენტრის პირველ სართულზე განთავსებულია დაცვის ოთახი, სკოლის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირის ოფისი, სამედიცინო კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი და სასადილო ოთახი, მიმდებარე ოთახით. იგი ასევე მოიცავს სერვერების ოთახს, დასუფთავების პერსონალის ოთახს, სკოლის საწყობს, რესურს ოთახს და ორ საკლასო ოთახს პირველი და მეორე კლასებისთვის. გარდა ამისა, არის ჯგუფური ოთახი, რომელიც აღჭურვილია გასახდელებით და ინდივიდუალური სანიტარული კვანძებით. სართულებს შორის წვდომა გამარტივებულია როგორც კიბით,

	ასევე ლიფტით. მეორე სართულზე განთავსდება ხელოვნების ოთახი, ბიბლიოთეკა და მრავალფუნქციური სივრცეები. ასევე მოეწყობა დასუფთავების ოთახი, მასწავლებლების მისაღები ოთახი და ოთხი საკლასო ოთახი, რომლებიც განკუთვნილია 3-6 კლასებისთვის. გარდა ამისა, იქნება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოთახი, ასევე სველი წერტილები. მესამე სართულზე განთავსდება ხელოვნების ოთახი, ბიბლიოთეკა და მრავალფუნქციური სივრცეები. ასევე, შენობაში განთავსდება დასუფთავების პერსონალის ოთახი, მასწავლებლების მისაღები ოთახი და ოთხი საკლასო ოთახი, რომლებიც განკუთვნილია მე-7-12 კლასებისთვის. გარდა ამისა, იქნება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოთახი, სველი წერტილებით. დიზაინი უზრუნველყოფს თანამედროვე, ფუნქციონალურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც დააკმაყოფილებს მოსწავლეებისა და პერსონალის მრავალფეროვან აკადემიურ და კლასგარეშე საჭიროებებს. საპროექტო სპეციფიკაციების შესაბამისად, მთელი ინფრასტრუქტურა მოემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა სპეციალური საჭიროებების მქონე პირებს. შენობაში იქნება საავარიო გასასვლელები, ორი კიბის უჯრედი და ერთი ლიფტი, ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სოფელ ღოუბანში კომუნალური მომსახურება შეზღუდულადაა უზრუნველყოფილი, მათ შორის ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი. არ არსებობს წყალმომარაგების ან ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და გამწმენდი სისტემები. თემის მაცხოვრებლები იყენებენ მიწის ან ბეტონის ორმოიან ტუალეტებს, რომლებიც სეპტიკური სისტემების ფუნქციას ასრულებენ. ქვე-პროექტი სკოლის შენობას ჩამდინარე წყლების გამწმენდი ავტონომიური ბიოლოგიური ნაგებობით აღჭურვავს. სასმელი წყლის ჩამოსხმა ბოთლებში მოხდება. ტექნიკური წყლით უზრუნველყოფისთვის დამონტაჟდება წყლის რეზერვუარი და შიდა გამანაწილებელი სისტემა. რეზერვუარის შევსების პასუხისმგებლობა სკოლას დაეკისრება დაფინანსების სტანდარტული ვაუჩერული სქემით გამოყოფილი თანხების გამოყენებით. ალტერნატიულად, ეს შეიძლება განახორციელოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, „ზოგადი განათლების დაფინანსების მიზნით ფინანსური ნორმისა და ერთ მოსწავლეზე შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილების პირველი მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად. ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს: • მოსამზადებელი სამუშაოები: დროებითი ნაგებობების დამონტაჟება, როგორიცაა მუშათა გასახდელები, ტუალეტები, დაცვის ჯიხურები, მასალების შესანახი ადგილები, აგრეთვე საყოფაცხოვრებო და სახიფათო

	ნარჩენების შესანახი ადგილები. • მთავარი შენობის მშენებლობა. • საქვაბის მშენებლობა; · ჩამდინარე წყლების მიმღები ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟება; · შენობის შიდა ქსელების წყალმომარაგების, ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდების, გათბობისა და ვენტილაციის ქსელების მონტაჟი; · წყალმომარაგების სისტემის მონტაჟი, მათ შორის წყლის რეზერვუარისა და ავტონომიური სატუმბი სადგურის; • გარე გაზმომარაგებისა და ინტერნეტის ქსელების მონტაჟი და მათი მიერთება არსებულ მუნიციპალურ ქსელებთან; • სახანძრო და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მონტაჟი; • სტადიონის მოწყობა; • ტერიტორიის შეღობვა • პარკინგის მოწყობა სკოლის ეზოში რამდენიმე ხე და ბუჩქია. პროექტის მიხედვით, არსებული მცენარეების მოჭრა საჭირო არ არის, რადგან სკოლის შენობის, საქვაბის ოთახის, სტადიონისა და ბილიკების მშენებლობისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე ხეები არ არის. სამშენებლო სამუშაოების შედეგად, მოსალოდნელია 3,200 მ3 მოჭრილი ნიადაგის წარმოქმნა, საიდანაც 1,300 მ3 გამოყენებული იქნება უკუჩაყრისთვის, ხოლო დანარჩენი გადატანილი იქნება სანიტარულ ნაგავსაყრელზე, რომელსაც მართავს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ამ კომპანიასთან შეთანხმების საფუძველზე, ან განთავსდება მუნიციპალური ხელისუფლების მიერ გამოყოფილ ადგილას. ასევე, ქვეპროექტის განსახორციელებლად საჭირო იქნება 550 მ3 ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომელიც დროებით შეინახება სკოლის ტერიტორიაზე, „ნიადაგის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. მშენებლობის შემდეგ, ნიადაგის გამოყენება ხელახლა მოხდება ქვეპროექტის ფარგლებში სკოლის ტერიტორიის ლანდშაფტის მოწყობისთვის.	
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: ანნა ბერძენაძე	გარემოს დაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტები დარეჯან კაპანაძე - *გარემოს დაცვა* დავით ჯიჯელავა - *სოციალური საკითხები*

განხორციელებ ის ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: კომპანია Eptisa Servicios de Ingenieria S.L. Spain	მშენებელი კონტრაქტორი: შპს რებილდი
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუციის დასახელება, რომლის საკუთრების მშენებლობაც არის დაგეგმილი	სოფელ ღოუბანის საჯარო სკოლა		
ინსტიტუციის მისამართი, რომლის საკუთრების მშენებლობაც არის დაგეგმილი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ღოუბანი ტელ: +995 591 058 740 ელფოსტა: goubaniskola@gmail.com		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაშია		
ფიზიკური და ბუნებრივი გარემო, ობიექტის გარშემო არსებული სოციო-ეკონომიკური კონტექსტი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში და წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს ქვემო ქართლის რეგიონში. იგი აღმოსავლეთით ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებს, დასავლეთით - წალკასა და დმანისს, ჩრდილოეთით - კასპსა და მცხეთას, ხოლო სამხრეთით - ბოლნისს. მუნიციპალიტეტის ფართობი 1,175.5 კმ²-ია, სიმაღლე ზღვის დონიდან ყველაზე დაბალ წერტილში 650 მ-დან ყველაზე მაღალ დასახლებულ პუნქტში 1,140 მ-მდე მერყეობს. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, ქალაქი თეთრიწყარო, მდებარეობს თბილისიდან 57 კმ-ში, რაიონული ცენტრიდან, რუსთავიდან, 60 კმ-ში და მთავარი რკინიგზის ხაზიდან (თბილისი-მარაბდა-ახალქალაქი) 7 კმ-ში. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 21,127 სულს შეადგენს, მათ შორის 10,335 მამაკაცია და 10,792 - ქალი. ქალაქ თეთრიწყაროს და დაბა მანგლისის მაცხოვრებლების რაოდენობა 4,534-ია, ხოლო სოფლის მოსახლეობის - 16,593. მოსახლეობის 82%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ, დანარჩენი 18% კი ეთნიკური უმცირესობების		

	წარმომადგენლები არიან, მათ შორის აზერბაიჯანელები, სომხები და სხვა. სოფელი ღოუბანი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბორბალოს თემის ნაწილია და თეთრიწყაროდან 29 კილომეტრში მდებარეობს. საბჭოთა პერიოდში სოფელში რძის ფერმა და ბიბლიოთეკა იყო. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, ღოუბანის მოსახლეობა 516 სულს შეადგენს. სოფლის კლიმატი: საშუალო წლიური ტემპერატურაა 12.7°C, აბსოლუტური მინიმუმით -23°C და აბსოლუტური მაქსიმუმით 40°C. ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა 30.8°C-ია, ხოლო ყველაზე ცივი ხუთი დღის საშუალო ტემპერატურა -8°C. ყველაზე ცივი დღის საშუალო ტემპერატურა -11°C-ია, ხოლო ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო ტემპერატურა 0.7°C. 13:00 საათზე ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა 3.6°C-ია, ხოლო ყველაზე ცხელი თვის - 29.3°C. შეფარდებითი ტენიანობა წელიწადში საშუალოდ 66%-ია. ყველაზე ცივ თვეში, დღის 1 საათზე, ფარდობითი ტენიანობა საშუალოდ 60%-ია, ხოლო ყველაზე ცხელ თვეში - 40%. ფარდობითი ტენიანობის დღიური ამპლიტუდა ყველაზე ცივ თვეში 25%-ია, ხოლო ყველაზე ცხელ თვეში 30%. ტექნიკური დავალების თანახმად, სამშენებლო მოედანი თრიალეთის ქედის თელეთის განშტოებაზე მდებარეობს. ეს ქედი აღმოსავლეთით ეშვება მტკვრის ხეობამდე და ქმნის თბილისის აუზის სამხრეთ საზღვარს. ქედი შედგება ანდეზიბასალტური ლავური ბრექჩიებისა და შუა ეოცენის ასაკის ტუფებისგან (მათ შორის დაბახანას ფორმაციის ოლისოსტრომებისგან), ასევე ზედა ეოცენის ფიქლებისგან, ნუმულიტური ქვიშაქვებისგან და არგილიტებისგან. ქედი დაბალმთიანია, მაქსიმალური სიმაღლე დაახლოებით 1100 მ-ია. მას ახასიათებს სწორი მწვერვალები და ფერდობები, რომლებიც მშრალი ხევებით არის დასერილი. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაფარულია ბუჩქნარის მცენარეულობით, ხოლო ქვედა ფერდობები ხელოვნურად არის გაშენებული ფიჭვნარით. თელეთის ქედის ნაწილს ასევე წარმოადგენს შავნაბადას მთა, რომლის აბსოლუტური სიმაღლე 770 მეტრია.
მასალების, მათ შორის შემავსებლების, განსაკუთრებით, წყლის და ქვების მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	არასახიფათო ნარჩენების უახლოესი ოფიციალური ნაგავსაყრელი ქვეპროექტის ადგილიდან დაახლოებით 21 კმ-ში, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილ აჯლოში მდებარეობს. ქვეპროექტის ადგილიდან უახლოეს ლიცენზირებულ კარიერამდე მანძილი დაახლოებით 36 კილომეტრია და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ არაფლოსთან, მდინარე დებედაზე მდებარეობს.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი	I2Q პროექტი განხორციელებულია მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის OP/BP 4.01 – გარემოსდაცვითი შეფასების შესაბამისად.

კანონმდებლობა და ქვე-პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, წარმოდგენილი ქვე-პროექტი კლასიფიცირდა გარემოსდაცვითი „B“ კატეგორიის პროექტად და წარმოდგენილი დოკუმენტი (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP)) სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის იქნა შემუშავებული - ბანკის სამოქმედო პოლიტიკის (OP/BP 4.01) და I2Q პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) პრინციპების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის რეაბილიტაცია არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემას, თუმცა ეროვნული რეგულაციების თანახმად: (i) მშენებლობის ნებართვა გაცემული უნდა იქნას შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ. (ii) სამშენებლო მასალების შეძენა უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); (iv) იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები, ან 200 ტონაზე მეტი არა-სახიფათო ნარჩენი, ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული მასალა, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ნარჩენების მართვის გეგმა და შეათანხმოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მოამზადოს ანგარიში ნარჩენების ინვენტარიზაციის შესახებ, დანიშნოს გარემოს დაცვის მენეჯერი და მის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად; (v) სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან შეთანხმებულ ოფიციალურ ნაგავსაყრელზე, ან ადგილობრივ (მუნიციპალურ) გამგეობასთან შეთანხმებულ ადგილას; (vi) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება მოხდება საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.
საჩივრების მოგვარების მექანიზმი	
საჩივრების მოგვარების მექანიზმი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს აძლევს მათთვის მიუღებელი სამუშაოების, ან გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას.	

საჩივრების მოგვარების მექანიზმის არსებობის შესახებ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები გაიგებენ საჯარო კონსულტაციების შედეგად და გავრცელებული ბროშურებით - სამუშაოების დაწყებამდე. შესაბამისი ინფორმაციის ამსახველი განცხადებები გაიკვრება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობების ჰოლებში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები მიიღებენ სრულ ინფორმაციას მათი უფლებებისა და პრეტენზიების ზეპირად, ან წერილობით გასაჩივრების პროცედურების შესახებ, როგორც მშენებლობის წინა, ასევე მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპებზე. საჩივრების მოგვარების მექანიზმის ამოქმედებასთან მიმართებაში, პრიორიტეტი მიენიჭება საჩივრების პრევენციას. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ვერ მოგვარდება ადგილობრივ დონეზე, საჩივრის შემოტანა მოხდება მგფ-ში. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მგფ ახდენს ყველა მიღებული საჩივრის, შენიშვნების და იმის, თუ როგორ მოხდება საჩივრის მოგვარება - რეგისტრაციას. საჯარო კონსულტაციების პროცესში, ადგილობრივ მოსახლეობას ეცნობება საჩივრების მოგვარების პროცესის შესახებ და ისინი მიიღებენ ინფორმაციას საკონტაქტო პირების თაობაზე. განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან საკონტაქტო პირია მარინე ჟვანია (ტელ: +995 577 27 88 41, marina.zhvania@iiq.gov.ge, 0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის N 52); მგფ-ს მხრიდან საკონტაქტო პირია დავით არსენაშვილი (ტელ: +995 599 019 183, feedback@mdf.org.ge) და სალომე მეფარიშვილი (+995 599 952 067); მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-4 სართული, 0112, თბილისი, საქართველო).	
საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	საჯარო კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება როგორც MDF-ისა და MESY-ის ოფიციალურ ვებგვერდებზე, ასევე სკოლისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობის საინფორმაციო დაფებზე. საჯარო განხილვას ორგანიზებას გაუწევენ MDF-ი და MESY. საჯარო განხილვას დაესწრება ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის სკოლის მოსწავლეების მშობლები. საჯარო კონსულტაციის ზუსტი დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია გამოცხადდება მინიმუმ 10 დღით ადრე. საჯარო კონსულტაციის პროცესის ჩანაწერები თან ერთვის ამჟამინდელ ESMP-ს.
დანართები	
დანართი 1: ორთო-ფოტო დანართი 2: გენ. გეგმა დანართი 3: ტოპო.გეგმა დანართი 4: საკადასტრო ინფორმაცია დანართი 5: საკადასტრო გეგმა დანართი 6: ობიექტის ამსახველი ფოტოები დანართი 7: საპროექტო ნახაზები (3დ ვიზუალიზაცია და სხვ.) დანართი 8: საჯარო კონსულტაციის ოქმი (წარმოსადგენია) დანართი 9: ხელშეკრულებები/ლიცენზიები (წარმოსადგენია კონტრაქტორის მიერ)	

ნაწილი B: ინფორმაცია უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ

გარემოსდაცვითი/ სოციალური სკრინინგი			
მოიცავს თუ არა ადგილზე აქტივობა რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილს?	**აქტივობა/ საკითხი**	**სტატუსი**	**მოქმედებაში მოყვანილი აქტივობა**
	1. რეაბილიტაცია	[ ] დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	2. ახალი მშენებლობა	[x] დიახ [ ] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	3. საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ინდივიდუალური სისტემა	[x] დიახ [ ] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. იხ. ქვემოთ ნაწილი **B**
	4. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	[ ] დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **C**
	5. მიწის შეძენა[1]	[ ] დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **D**
	6. ზემოქმედება მიწით და საკუთრებით სარგებლობაზე	[ ] დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი E
	7. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები[2]	[ ] დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **F**
	8. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[ ] დიახ [x] არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი **G**

[1] მიწის შესყიდვა გულისხმობს ადამიანთა ადგილმონაცვლეობას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს - ჯიხურებს) მიწაზე, რომლიც შეძენაც მიმდინარეობს.

[2] ტოქსიკური/ სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება აზბესტით, ტყვიის შემცველი და სხვა ტოქსიკური საღებავებით, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელებით და ა.შ.

ნაწილი C: ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებების საკონტროლო ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	შეტყობინება და მუშათა უსაფრთხოება	(a) მშენებლობისთვის, ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვებისთვის, ნარჩენების გატანისთვის და სხვ. საკითხების შესრულებისთვის საჭირო კანონიერი ნებართვების მიღება; (b) მომუშავეთა პირადი დაცვის აღჭურვილობა (PPE) შესაბამისობაში უნდა იყოს კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან (მუშაობის დროს ყოველთვის დამცავი ჩაფხუტის ტარება, და საჭიროების შემთხვევაში: ნიღბები და უსაფრთხოების ჩექმები) და უნდა განხორციელდეს კონტროლი აღნიშნული აღჭურვილობის გამოყენებაზე; (c) მუშების პირადი დაცვის აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს კარგ საერთაშორისო პრაქტიკას (დამცავი ჩაფხუტების მუდმივად ტარება, ხოლო ნიღბების, დამცავი სათვალეების, უსაფრთხოების ღვედების და სპეციალური ფეხსაცმელების ტარება - საჭიროებისამებრ); (d) სამუშაო ტერიტორიებზე განლაგებული მაჩვენებლები მუშებისთვის, სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით შესასრულებელი ძირითადი წესებისა და რეგულაციების შესახებ; (e) თითოეულ სამუშაო ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იყოს ინფორმაცია სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის შესახებ, შესაბამის საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად.
A. ზოგადი რეაბილიტაცია და / ან სამშენებლო აქტივობები	ჰაერის ხარისხი	(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე; ამასთან, ნარჩენებზე უნდა მოხდეს წყლის მოსხმა, მტვრის შესამცირებლად;

		(b) პნევმატური ბურღვის/ კედლების ნგრევის პროცესის შედეგად მიღებული მტვერის გავრცელება უნდა შეიზღუდოს წყლის მოსხმით და /ან ადგილზე მტვრის საწინააღმდეგო ეკრანის დამონტაჟებით; (c) მიმდებარე ტერიტორია (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს (სამშენებლო) ნარჩენებისგან, მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; (d) სამშენებლო მასალის/ნარჩენების ღია ტიპის წვა სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა განხორციელდეს; (e) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებები ხანგრძლივი დროის განმავლობაში უქმად არ უნდა იყოს გაჩერებული (საპროექტო) ტერიტორიაზე; (f) დატვირთული სატრანსპორტო საშუალებები ცალკე უნდა განთავსდეს და დაცული უნდა იყოს - გადახურვით.
	ხმაური	(a) სამშენებლო ხმაური უნდა შეიზღუდოს დღის სამუშაო საათებით; (b) ოპერირებისას გენერატორების, დახურული ჰაერის კომპრესორების და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან, დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს დასახლებული ტერიტორიებიდან; (a) მაქსიმალურად დასაშვები სიჩქარე უნდა შეიზღუდოს.
	წყლის ხარისხი	(a) ადგილზე მოხდება ეროზიისა და დანალექების საკონტროლო ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა თივის შეკვრებისა და/ან შლამის მესერების დამონტაჟება, რაც ხელს შეუშლის დანალექების სამშენებლო ტერიტორიებიდან გასვლას და ახლომდებარე ნაკადებისა და მდინარეების ზედმეტ ამღვრევას; (b) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების გარეცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისად გამოყოფილ ადგილას, სადაც წყლის ჩამონადენი არ დააბინძურებს ბუნებრივი ზედაპირის წყლის ობიექტებს; (a) საპოხი მასალები, საწვავი და გამხსნელები უნდა განთავსდეს და გამოყენებულ იქნას შესაბამის მექანიზმებთან მიმართებაში მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებზე,

		ნიადაგის სათანადო დაცვის (გადახურვის) და საოპერაციო და საავარიო დაღვრის განცალკევების მიზნით. ობიექტზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი და სხვ.), დაღვრის ლოკალიზების მიზნით.
	ნარჩენების მართვა	(a) წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის მინიმუმამდე დაყვანა, შესაძლებლობის ფარგლებში; (b) წარმოქმნილი ნარჩენების სხვადასხვა ტიპების განცალკევება და ნარჩენების შესაბამისი სახეობების ხელახალი გამოყენება, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი; (c) ნარჩენების სხვადასხვა ტიპებისთვის დროებითი განთავსების ადგილების გამოყოფა. დაუშვებელია საპროექტო ტერიტორიაზე ნარჩენების ზედმეტი მოცულობების აკუმულაცია; (d) საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრის და ზედმეტი მასალის (ინერტული სამშენებლო მასალა) საბოლოო განთავსების მიზნით ოფიციალური ნებართვების მიღება მუნიციპალური უწყებებიდან; (e) სახიფათო ნარჩენების, ან ლიცენზირებული კომპანიებისთვის აღნიშნული ნარჩენების გადაცემის საკითხის დროული გადაწყვეტა.
	მასალების მიწოდება	(a) მასალები შეძენილი უნდა იქნეს იმ არსებული საწარმოებისა და კარიერებისაგან, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ოფიციალური ნებართვა, ან მოქმედი ლიცენზია საქმიანობის განსახორციელებლად; (b) მოპოვებული უნდა იქნეს შესაბამისი ლიცენზია, თუ საჭიროა ახალი კარიერის გახსნა; (c) კარიერების ტერიტორიების გამოყენებული მონაკვეთების აღდგენა, ექსტრაქციის (მოპოვების) გაგრძელების შემთხვევაში, ან მათი სათანადოდ დახურვა, ექსტრაქციის (მოპოვების) დასრულების და ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემთხვევაში; (d) მასალების გადაზიდვა არ უნდა მოხდეს პიკის საათებში; a) სიჩქარის მარეგულირებელი, მიმართულების შეცვლის აღმნიშვნელი და გამაფრთხილებელი ნიშნების უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებებისთვის - საჭიროების შესაბამისად.

B. ინდივიდუალური წყალგამწმენდი სისტემა	წყლის ხარისხი	(a) საყოფაცხოვრებო ნარჩენების და ჩამდინარე წყლების მართვის, ასევე გამწმენდი აღჭურვილობის პროექტის დამტკიცების უზრუნველყოფა შესაბამისი ორგანოების მიერ; (b) მიმღებ წყალში დაცლამდე, ჩამდინარე წყლის ინდივიდუალური აღჭურვილობიდან გამოსული მასა უნდა იყოს დამუშავებული/გაწმენდილი, წყლის ხარისხისა და ჩამდინარე წყლის დამუშავების/გაწმენდის შესახებ მოქმედი ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპებით დადგენილი ხარისხის მინიმალური კრიტერიუმების შესაბამისად; (c) ჩამდინარე წყლის ახლად მოწყობილი გამწმენდი აღჭურვილობის მონიტორინგი და დამკვეთის ინფორმირება მონიტორინგის შედეგების შესახებ; (d) სამშენებლო საავტომობილო საშუალებების და მექანიზმების გარეცხვა მხოლოდ გამოყოფილ ტერიტორიაზე, სადაც წყლის ჩამონადენი არ გამოიწვევს ბუნებრივი ზედაპირის, წყლის ობიექტების დაბინძურებას.
J. საზოგადოების და შრომის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მიწის სამუშაოები	(a) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა უნდა მოიხსნას მიწის სამუშაოების დაწყებამდე; (b) აუცილებელია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების შესაბამისი პრაქტიკის გამოყენება, გრუნტის ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური აქტივობის შენარჩუნებისათვის; უნდა აღიმართოს დროებითი შლამის მესერები, ეროზიის (გამორეცხვის) პრევენციის მიზნით; (c) ნიადაგის დასაწყობებული ფენის გამოყენება უნდა მოხდეს აღდგენისა და გამწვანების პროცესში; (d) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა იმ ადგილებიდან, რომლებიც არ ექვემდებარებიან პირველადი მდგომარეობის აღდგენას, ფრთხილად გადანაწილდება მიმდებარე ტერიტორიაზე; (e) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღდგენა მოხდება ქვენიადაგისგან განცალკევებით, რათა არ მოხდეს აღნიშნული მასალების ერთმანეთთან შერევა. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღდგენა საკმარისია თავდაპირველი ნაყოფიერი სიღრმის აღსადგენად, რაც გამოჩნდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ზოლზე - ვიზუალური დაკვირვებისას და აღდგენილი და მიმდებარე ადგილების ერთმანეთთან შედარებისას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ადგილმონაცვლეობის დროს, კონტრაქტორმა ისე უნდა დაგეგმოს სამუშაოები, რომ თავდაპირველად მოხდეს ყრილებისგან ყველაზე დიდი მანძილით დაშორებული

		ადგილების აღდგენა, თანდათანობით კი უნდა მოხდეს აღდგენის აღნიშნულ ყრილებთან დაახლოვება, რაც შეამცირებს სატრანსპორტო საშუალებების ნიადაგის აღდგენილ ნაყოფიერ ფენაზე მოძრაობის მოცულობას. ნიადაგის აღდგენილი ნაყოფიერი ფენა შეძლებისდაგვარად დაიფარცხება, რაც შეინარჩუნებს მცენარეული საფარის მდგრადობას და ხელს შეუწყობს ვეგეტაციის ზრდას; (f) მიწის სამუშაოების პროცესში შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა შეწყვიტოს ფიზიკური სამუშაოების წარმოება საპროექტო ტერიტორიაზე და აცნობოს მგფ-ს. ფონდი (მგფ) მყისიერად აცნობებს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელიც აიღებს პასუხისმგებლობას შემდგომ მოქმედებებზე. სამუშაოების გაგრძელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილობითი ნებართვის მიღების შემდეგ.
	საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა	(a) კონტრაქტორის ჯგუფში გამოყავით პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და მათი თხოვნების/საჩივრების მიღებაზე; (b) გაიარეთ კონსულტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამუშაოების განმახორციელებლებსა (დაქირავებულ სამუშაო ძალასა) და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო კონფლიქტების გამოვლენის და შესაბამისად მართვის მიზნით; (c) მოახდინეთ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სამუშაოების განმახორციელებლების (დაქირავებულ სამუშაო ძალის ტერიტორიაზე) ყოფნასთან დაკავშირებით, სექსუალურად გადამცემი დაავადებების რისკის შესახებ და ჩართეთ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში; (d) აცნობეთ მოსახლეობას მშენებლობის და სამუშაოების გრაფიკების შესახებ, ასევე სერვისების შეწყვეტის, შემოვლითი მარშრუტების, ავტობუსების დროებითი მარშრუტების და აფეთქებისა და ნგრევის შესახებ, საჭიროებისამებრ;

		(e) სამშენებლო საქმიანობა შეზღუდეთ ღამით. აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყავით ღამის სამუშაოების ფრთხილად დაგეგმვა და მოსახლეობის სათანადო ინფორმირება, რათა მათ შეძლონ ყველა საჭირო ზომის მიღება; (f) მოსახლეობის მინიმუმ ხუთი დღით ადრე ინფორმირება, რომელიმე სერვისის (მათ შორის, წყლის, ელექტროენერგიის, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტების) შეწყვეტამდე; მოსახლეობის გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსდება სამუშაო ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებებზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე/ბიზნეს ობიექტებზე; (g) დამკვეთის მიერ შექმნილი საჩივრების მოგვარების მექანიზმის საშუალებით წამოჭრილი პრობლემური საკითხების მოგვარება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში და კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში; (h) სამუშაო ბანაკები არ განათავსოთ ადგილობრივ მოსახლეობასთან უშუალო სიახლოვეს, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი; (i) სამუშაო ბანაკების განთავსება და ოპერირება განახორციელეთ მეზობელ მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან; ტყვიის და აზბესტის შემცველი სამშენებლო მასალების გამოყენების აკრძალვა.	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების სტანდარტული ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით;	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შეზღუდვა; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია

	ტრანსპორტირების დადგენილი საათებისა და მარშრუტების დაცვა				დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	
მიწის სამუშაოები	ამოღებული გრუნტის დროებითი დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე; ამოღებული გრუნტის უკუ-ჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე; შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყონებლივ შეწყვეტა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება სამინისტროს წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ;	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირება	მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს	სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება; ფიზიკური და კულტურული რესურსების დაზიანების და დანაკარგის თავიდან აცილება; ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დანაკარგის პრევენცია.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა - მიწის სამუშაოების დაწყებამდე; ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების შესაბამისი პრაქტიკის გამოყენება; დროებითი დამცავი შემოღობვის (შლამის მესერის) აღმართვა; ნიადაგის მოხსნილი ნაყოფიერი ფენის გამოყენება აღდგენის და გამწვანების პროცესში.					
ბუნებრივი სამშენებლო მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტის საფუძველზე და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ქანობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შეზღუდვა; მდინარის ნაპირების ეროზიის, შეწონილი ნაწილაკებით წყლის დაბინძურების და წყლის ფლორის და ფაუნის დარღვევის შეზღუდვა	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	კარიერების დატერასება, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად - მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების	სამშენებლო ტერიტორიაზე და სამშენებლო ტერიტორიის	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	გარშემო			ადგილობრივი მაცხოვრებლების შეწუხების შეზღუდვა;	
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; სასმელი წყლის და ტუალეტების უზრუნველყოფა მამაკაცებისა და ქალებისთვის სამუშაო ტერიტორიაზე; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	საწარმოო უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა.					
სამუშაოების წარმოება დასახლებაში	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირება მომავალი სამუშაოების და მუნიციპალური სერვისების მიწოდების დროებითი შეფერხების შესახებ, რამაც შესაძლოა იჩინოს თავი სამუშაოების წარმოების პროცესში; დღის განმავლობაში განსაზღვრული სამუშაო საათების დაცვა, ხმაურის და მტვრის ემისიების მინიმუმამდე დაყვანა, სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად	ადგილობრივი მაცხოვრებლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შეწუხების მინიმუმამდე შემცირება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ექსპლოატაციის ფაზა						
აშენებული სკოლის მოვლა-პატრონობის	მყარი ნარჩენების შესაბამისი მართვა	სკოლის ტერიტორია	ინსპექტირება	სკოლის ექსპლოატაციის პერიოდში	მყარი ნარჩენებისაგან	განათლების და მეცნიერების

შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები					დაბინძურების პრევენცია	სამინისტრო
კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდი ერთეულის ოპერირება	სკოლის შენობისთვის მოწყობილი ბიოლოგიური გამწმენდი ერთეულის რეგულარული მოვლა-პატრონობა და დროული შეკეთება - საჭიროებისამებრ	სკოლის ტერიტორია	ინსპექტირება	ობიექტის ექსპლოატაციის დროს	ზედაპირული დ გრუნტის წყლების გაუწმენდავი კანალიზაციით დაბინძურების პრევენცია	განათლების ა და მეცნიერების სამინისტრო

დანართი 1: ორთო-ფოტო

დანართი 2: გენ. გეგმა


გენგეგმა
476250
4606700
300
სკოლის საპროექტო ღობე
გაყვეს წითელ ხაზებს
საკადასტრო საზღვარი
ეკო სივრცე
საყრდენი კედელი
ინდივიდუალური, წყნარი სივრცე
ხახანძრო გზის სიგანე 3.5 მეტრი
ბეტონის ბორდიური
10 სმ
gza
მყარზედაპირიანი გარე სივრცე
თავშეყრის სივრცე
აქტიური სივრცე/
ექსპერიმენტული სივრცე
ექსპლიკაცია:
1. საპროექტო შენობა
2. საქვაბე
3. სახანძრო რეზერვუარი
4. ბიოლოგიური გამწმენდი
5. გენერატორის განთავსებილის ადგილი
ქვეითთა გზა
სატრანსპორტო გზა
ბეტონი
15 სმ
ბუნებრივზედაპირიანი გარე სათამაშო
და საგანმანათლებლო დანიშნულებით
გამოსაყენებელი სივრცეები
1. აქტიური სივრცე
2. ინდივიდუალური, წყნარი სივრცე
3. თავშეყრის სივრცე
4. ექსპერიმენტული სივრცე
5. ეკო სივრცე
დაიგოს ბუნებრივი
ბალახი
მყარზედაპირიანი გარე სათამაშო და
საგანმანათლებლო დანიშნულებით
გამოსაყენებელი სივრცეები
კაუჩუკი

დანართი 3: ტოპო.გეგმა



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 84.05.35.000.328**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882025027802 - 17/01/2025 10:44:49	**04/02/2025 12:27:02**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თეთრიწყარო	ბორბალო		
84	**05**	**35**	**000/328**

მისამართი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ღოუბანი, 1-ლი ქუჩა, N 37

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 2482.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი: **84.05.01.000.002ა;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართი - 335.7 კვ.მ. (მათ შორის: I სართული - 159 კვ.მ.; II სართული - 176.7 კვ.მ.), N2 - 27.3 კვ.მ., N3 - 7.3 კვ.მ., N4

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 842004000896 , თარიღი 17/09/2004

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სარეგისტრაციო მოწმობა N247 , დამოწმების თარიღი:03/09/2009 , თეთრიწყაროს რაიონის გამგეობის გექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახური
- ტექნიკური პასპორტი , დამოწმების თარიღი:02/09/2004 , თეთრიწყაროს რაიონის გამგეობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახური
- გადაწყვეტილება განცხადების დასაბუთებულობის დადასტურებისა და მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების შესახებ N18089 , დამოწმების თარიღი:28/01/2025 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი N10/7993 , დამოწმების თარიღი:06/03/2014
- წერილი N10/63868 , დამოწმების თარიღი:21/11/2023 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- ცნობა-დასასიათება N248 , დამოწმების თარიღი:03/09/2004 , თეთრიწყაროს რაიონის გამგეობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახური

მესაკუთრეები:
სახელმწიფო , ID ნომერი:203840433

მესაკუთრე: **აღწერა:**
სახელმწიფო

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014275269 თარიღი 29/05/2014 12:08:00	**მოსარგებლე: სსიპ "თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ღოუბანის საჯარო სკოლა"; მესაკუთრე: სახელმწიფო** 203840433; საგანი:მიწის ნაკვეთი ფართით 2482 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები: N1 საერთო ფართი - 335.7 კვ.მ. (მათ შორის: I სართული - 159 კვ.მ.; II სართული - 176.7 კვ.მ.), N2 - 27.3 კვ.მ., N3 - 7.3 კვ.მ., N4; მოსარგებლის არსებობის ვადით;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/06/2014	**სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი ქონების უვადო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, რეესტრის ნომერი N10/15194, დამოწმების თარიღი29/04/2014,**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

დანართი 5: საკადასტრო გეგმა



დანართი 6: ობიექტის ამსახველი ფოტოები

დანართი 7: საპროექტო ნახაზები (3დ ვიზუალიზაცია და სხვ.)

დანართი 7: საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი

2025 წლის 6 ივნისი

სოფელი ღოუბანი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

პროექტი ინკლუზიურობა, ინოვაცია და ხარისხი (საქართველო I2Q)

ღოუბანის საჯარო სკოლის მშენებლობა
(თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი)
საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა
გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშის პროექტსა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაზე

2025 წლის 6 ივნისს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (MDF) და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ (MESY) ორგანიზება გაუწიეს საჯარო კონსულტაციას, რათა განეხილათ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ღოუბანის საჯარო სკოლის მშენებლობის ქვეპროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიში და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP). შეხვედრა გაიმართა ღოუბანის რიტუალების დარბაზში. კონკრეტული ადგილი შეირჩა პროექტის სპეციფიკაციის შესაბამისად. საკონსულტაციო შეხვედრის დეტალები (თარიღი, დრო და საკონტაქტო ინფორმაცია) შეტანილი იყო განცხადებაში. განცხადებები გამოკრული იყო სკოლების ტერიტორიის მიმდებარე ქუჩებზე, ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე და MDF-ისა და MESY-ის ვებგვერდებზე.

კონსულტაციის მიზანი იყო დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ქვე-პროექტის, ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მისი პოტენციური უარყოფითი/დადებითი ზემოქმედებისა და მათი პრევენციის ან შერბილების ღონისძიებების შესახებ.

შეხვედრაზე დამსწრეები ღოუბანის საჯარო სკოლიდან:

[redacted] – სკოლის დირექტორი

სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები

ადგილობრივი თვითმმართველობა - [redacted]

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

[redacted] – გარემოს დაცვის სპეციალისტი

[redacted] – სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტი

[redacted] – სოციალური საკითხების კონსულტანტი

[redacted] გახსნა შეხვედრა და წარადგინა მგფ-სა და MESY-ს წარმომადგენლები და შეხვედრის მიზნები. მან მოკლედ წარადგინა ქვე-პროექტი და დეტალურად განიხილა გეგმის ფარგლებში დაგეგმილი ყველა სამუშაო.

[redacted] განმარტა, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, ქვე-პროექტისათვის არ არის საჭირო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. თუმცა, ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მგფ პასუხისმგებელია მსოფლიო ბანკის (WB) უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვაზე. ამიტომ, მან წარადგინა მსოფლიო ბანკის სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და წარმოადგინა ამ გეგმისთვის შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა.

მან მოკლედ განიხილა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა. სალომემ წარმოადგინა დოკუმენტში აღწერილი გარემოსდაცვითი, სოციალური, საზოგადოებასთან ურთიერთობის და შრომის მართვის ზომები. ESMP-ის აუცილებელ ნაწილად, მან დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ამ გეგმის პოტენციურ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებზე და ამ ნეგატიური ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან მინიმიზაციისთვის საჭირო შემარბილებელი ზომების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით, ხეების მოჭრა საჭირო არ არის, მოჭრილი ნიადაგი სრულად გამოყენებული იქნება ადგილზე ეზოს ლანდშაფტის მოწყობისთვის.

[redacted] აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP) სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ, ESMP-ის დებულებების საფუძვლიანი განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავს სოციალური და ბუნებრივი გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, სავალდებულოა სამუშაოების კონტრაქტორისთვის. მან ასევე განიხილა გარემოსდაცვითი მონიტორინგის ასპექტები, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის პასუხისმგებელი მხარეები და ანგარიშგების პროცედურები პროექტის განხორციელების დროს.

[redacted] აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება არ მოითხოვს მიწის ჩამორთმევას ან განსახლებას, ან ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას (მაგალითად, ფორმალური ან არაფორმალური გამყიდველებისთვის). მან მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია პროცედურების და MDF-ში შექმნილი საჩივრების განხილვის მექანიზმის მნიშვნელობის შესახებ. კომუნიკაციისთვის გაუზიარა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, გარემოსდაცვით ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივრის არსებობის შემთხვევაში და/ან კომენტარებისა და წინადადებების გამოთქმის შემთხვევაში. მან მიაწოდა ინფორმაცია ბილბორდების შესახებ, სადაც მათ შეუძლიათ იპოვონ GRM-ის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტა), საჩივრების ყუთები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა სამშენებლო ობიექტზე და საჩივრების ფორმები ანონიმური საჩივრებისთვის.

[redacted] აუდიტორიას წარუდგინა ინფორმაცია საზოგადოების ჩართულობის, უკუკავშირის მექანიზმების და პროექტის განხორციელების გენდერულ ასპექტებზე. მონაწილეებს შორის გავრცელდა ბროშურები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას სექსუალური შევიწროებისა და გენდერული ძალადობის მართვის შესახებ.

შეხვედრის დასასრულს, აუდიტორიამ მონაწილეობა მიიღო კითხვა-პასუხის სესიაში წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით. დაისვა შემდეგი კითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები :	**პასუხები და კომენტარები:**
როდის გვექნება ახალი სკოლა?	სამშენებლო სამუშაოები დასრულდება 2026 წლის ბოლო კვარტალში.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოხატეს მადლიერება და აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი ქვეპროექტის განხორციელება მეტად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, მშობლებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

შეხვედრის მონაწილეებმა დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს ქვეპროექტის მიმართ.

ფოტო მასალა თანდართულია.

[redacted]

[redacted]

დამსწრეთა ნუსხა:

ღოუბანის საჯარო სკოლის მშენებლობა
(თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი)

Construction of Ghoubani Public School
(Tetritskaro Municipality)

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი 05.06.25

Public Consultation Meeting 05.06.25

List of Attendees

#	სახელი და გვარი / Full Name	მისამართი / Address	ორგანიზაცია / Organization	საკონტაქტო ინფორმაცია / Contact Information	ხელმოწერა / Signature

[redacted]

[redacted]

ოქმი MDF-ის მიერ მომზადდა 2025 წლის ივნისში.

დანართი 9: ხელშეკრულებები/ლიცენზიები

ნარჩენების განთავსებისა და ინერტული მასალების მიწოდების ხელშეკრულება

ხელშეკრულება

თბილისი

20 მაისი 2025

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერი მხარეები, ერთის მხრივ, **შპს „რებილდი“** (შემდგომში **„დამკვეთი“)** წარმოდგენილი მისი დირექტორის, [redacted] სახით და მეორეს მხრივს, **შპს „ალგეთი"** (შემდგომში **„შემსრულებელი“)** წარმოდგენილი მისი დირექტორის [redacted], ვმოქმედებთ რა წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დამკვეთი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი შეასრულებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ღოუბანში და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ არაფლოში საჯარო სკოლების მშენებლობაზე მიწის ექსკავაციის, გრუნტის და ნაგვის დატვირთვა გატანის სამუშაოებს. ასევე სამშენებლო ობიექტს უზრუნველყოფს ინერტული მასალით მომარაგებას.

მუხლი 2. მომსაახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1 მომსახურების ღირებულება შეადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების და ერთეული ღირებულებების შესაბამისად:

სოფელ ღოუბანში

- გრუნტის ექსკავაცია, დატვირთვა და გატანა 1 მ3-ის ღირებულება 12 (თორმეტი) ლარი გადასახადების ჩათვლით
- ნაგვის დატვირთვა გატანა 1 მ3-ის ღირებულება 10 (ათი) ლარი გადასახადების ჩათვლით

ინერტული მასალები ღირებულება ტრანსპორტირებით :

- ქვიშა - 1 მ3-ის ღირებულება 45 (ორმოცდათხუთი) ლარი გადასახადების ჩათვლით
- ბალასტი - 1 მ3-ის ღირებულება 28 (ოცდარვა) ლარი გადასახადების ჩათვლით
- ღორღი - 1 მ3-ის ღირებულება 30 (ოცდაათი) ლარი გადასახადების ჩათვლით

სოფელ არაფლოში

- გრუნტის ექსკავაცია, დატვირთვა და გატანა 1 მ3-ის ღირებულება 15 (თხუთმეტი) ლარი გადასახადების ჩათვლით
- ნაგვის დატვირთვა გატანა 1 მ3-ის ღირებულება 12 (თორმეტი) ლარი გადასახადების ჩათვლით

ინერტული მასალები ღირებულება ტრანსპორტირებით :

- ქვიშა - 1 მ3-ის ღირებულება 50 (ორმოცდაათი) ლარი გადასახადების ჩათვლით
- ბალასტი - 1 მ3-ის ღირებულება 30 (ოცდაათი) ლარი გადასახადების ჩათვლით
- ღორღი - 1 მ3-ის ღირებულება 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი გადასახადების ჩათვლით

2.2 თანხის ანაზღაურება მოხდება შესრულებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, უნაღდო ანგარიშწორების გზით, ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშის ნომერზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2026 წლის 16 სექტემბრამდე.
3.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსრულებელი:

4.1.1 ვალდებულია შეასრულოს მომსახურება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ვადებით.
4.1.2 ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს, თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზები და გარემოებები საფრთხეს უქმნის ან შეუქმნის მის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს განხორციელებას.
4.1.3 უფლებამოსილია მოითხოვოს დამკვეთისგან ხელშკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება სრულად და დროულად, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

4.2 დამკვეთი:

4.2.1 ვალდებულია დროულად გადაიხადოს ამ ხელშეკრულების მუხლი 2-ით დადგენილი **საფასური.**
4.2.2 ვალდებულია არ განახორციელოს რაიმე მოქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.
4.2.3 უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსრულებელს მომსახურების კეთილსინდისიერად და სრულფასოვნად.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ასეთი მოქმედებით მიყენებული ზიანი.

5.2 მხარეთა პასუხიმგებლობის სხვა ზომები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ფორს-მაჟორული გარემოებანი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია რომელიმე მხარის ნებისგან დამოუკიდებელი გარემოებების (ფორს-მაჟორი) გამო.

6.2 მხარე ფორს მაჟორული გარემოების დადგომის დღიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში წერილობით არ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს. ამ წესის დაუცველობა მხარეს არ ათავიუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

6.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე, მაგრამ თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა გრძელდება 35 დღეზე მეტი ხნის ვადით, გამქირავებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და დაიბრუნოს ქონება.

მუხლი 7. განსაკუთრებული პირობები

7.1 ყველა ცვლილება ან დამატებითი შეთანხმება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შედგენილი უნდა იქნეს წერილობით და დადასტურებული იქნეს უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, რომელიც ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად. დაუშვებელია ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების ცალმხრივად შეტანა.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო სანქციების გატარება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. სხვა პირობები და დასკვნითი დებულებები

8.1 ამ ხეშეკლრულების რომელიმე პუნქტის შეცვლა, მოდიფიცირება, გაუქმება ან შეწყვეტა არ მოახდენს გავლენას მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა მოვალეობების შესრულებაზე.

8.2 თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, რომელიმე დებულება კანონის საფუძველზე მიიჩნევა ძალადაკარგულად, ამგვარი ძალადაკარგულობა არ იქონიებს გავლენას ამ ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი დებულების იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

8.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

8.4 წერილობითი ურთიერთობა ითვლება განხორციელებულად თუ განხორციელდა კურიერის მეშვეობით, სათანადო დადასტურებით ან დაზღვეული წერილით მხარეთათვის ცნობილ მისამართზე.

8.5 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობით შეთანხმების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.6 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის წამოჭრილი დავა, დაკავშირებული ამ ხელშეკრულებასთან - გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში - მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

8.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია 2 (ორ) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. თითოულ მხარეს გადაეცა ერთი ეგზემპლარი.

11. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„დამკვეთი“ შპს „რებილდი “	„შემსრულებელი“ შპს „ალგეთი“
[redacted]	[redacted]

ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზია



საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

[redacted]

2021 წლის „15" „მარტი"
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „NEW STAR"-ს, [redacted]

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / სახელი, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: ცხრა ხიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 15 მარტის №350/ს ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი:

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. არქევანის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ხრამის ქვიშა-ხრეშის საბადო;

K-38-90-Г-а ნომენკლატურის ბოსტრუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);

მინისა და სამთო მინაკუთვნის ფართობი - 103 090 კვ. მეტრი;

მოსაძიებელი რესურსის სახელობა და მოცულობა: _____

მულ. ხრამის ჰიდროელექტროსადგურის ჯამური მოპირკეთება - 206 180 კუბური მეტრი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

სალიცენზიო პირობები: _____

_____

მანსაბრძოლველა სსიპ წყლის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 15 მარტის №350/ს ბრძანებით.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 5 წელი, 15.03.2021 დან 16.03.2026 მდე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფროსის სახელით წარმომადგენელი

[redacted]

ბატონი ლიცენზიის პირობებს და
ვალებს პასუხისმგებლობას მათ

[redacted]

ბეტონის ხელშეკრულება

ხელშეკრულება #024/20-04

თბილისი 1 ივნისი 2024

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერი მხარეები, ერთის მხრივ, **შპს „რეგილდი"** (შემდგომში **„დამკვეთი"**) წარმოდგენილი მისი დირექტორის, [redacted] სახით და მეორეს მხრივ, **„შპს დემირ ბეტონი"**(შემდგომში **„შემსრულებელი"**), წარმომადგენელი მისი დირექტორი [redacted] სახით ვმოქმედებთ რა წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დამკვეთი უკვეთავს, ხოლო მიმწოდებელი მიაწვდის ბეტონს

მუხლი 2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 მომსახურეობის ღირებულობა განისაზღვრება ინვოისით.

2.4 საკონტრაქტო თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების გზით, ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშის ნომერზე.

2.5 შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება მოხდება დანართი NI მიხედვით რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან 2 წლის ვადით.

3.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსრულებელი:

4.1.1 ვალდებულია შეასრულოს მომსახურება ხარისხიანად და კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ვადებით.

4.1.2 ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს, თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზები და გარემოებები საფრთხეს უქმნის ან შეუქმნის მის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს განხორციელებას.

4.1.3 უფლებამოსილია მოითხოვოს დამკვეთისგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება სრულად და დროულად, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

4.2 დამკვეთი:

4.2.1 ვალდებულია დროულად გადაიხადოს ამ ხელშეკრულების მუხლი 2-ით დადგენილი **საფასური**.

4.2.2 ვალდებულია არ განახორციელოს რაიმე მოქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

4.2.3 უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსრულებელს მომსახურების კეთილსინდისიერად და სრულფასოვნად.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ასეთი მოქმედებით მიყენებული ზიანი.

5.2 მხარეთა პასუხისმგებლობის სხვა ზომები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ფორს-მაჟორული გარემოებანი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია რომელიმე მხარის ნებისგან დამოუკიდებელი გარემოებების (ფორს-მაჟორი) გამო.

მუხლი 7. განსაკუთრებული პირობები

7.1 ყველა ცვლილება ან დამატებითი შეთანხმება ხელშეკრულებასთან დაკავშირები[redacted] წერილობით და დადასტურებული იქნეს უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, რომ[redacted] ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად. დაუშვებ[redacted] ცვლილებების და დამატებების ცალმხრივად შეტანა.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო სანქციების გატარება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. სხვა პირობები და დასკვნითი დებულებები

8.1 ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის შეცვლა, მოდიფიცირება, გაუქმება ან შეწყვეტა არ მოახდენს გავლენას მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა მოვალეობების შესრულებაზე.

8.2 თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, რომელიმე დებულება კანონის საფუძველზე მიიჩნევა ძალადაკარგულად, ამგვარი ძალადაკარგულობა არ იქონიებს გავლენას ამ ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი დებულების იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

8.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

8.4 წერილობითი ურთიერთობა ითვლება განხორციელებულად თუ განხორციელდა კურიერის მეშვეობით, სათანადო დადასტურებით ან დაზღვეული წერილით მხარეთათვის ცნობილ მისამართზე.

8.5 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობით შეთანხმების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.6 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის წამოჭრილი დავა, დაკავშირებული ამ ხელშეკრულებასთან - გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში - მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

8.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია 2 (ორ) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. თითოეულ მხარეს გადაეცა ერთი ეგზემპლარი.

9. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„დამკვეთი"
შპს „რებილდი "

[redacted]

„შემსრულებელი"
შპს დემირ ბეტონი

[redacted]